

IFRS სტანდარტების გავლენა ფინანსური ანგარიშგების ხარისხის
გაუმჯობესებაზე: შესაბამისობისა და პრაქტიკული გამოყენების ანალიზი
აუდიტორული კომპანიების მაგალითზე

სტუდენტი
ქეთევან ლონდარიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფინანსები

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ნათია სურმანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. ნაშრომში გამოყენებული სხვა ავტორების ყველა წყარო ციტირებულია აკადემიური ეთიკისა და წყაროს მითითების შესაბამისი წესების სრული დაცვით. ნაშრომი არ შეიცავს ისეთ მასალას, რომელიც სხვა ავტორის მიერ უკვე გამოქვეყნებულია, მიღებულია გამოსაქვეყნებლად ან წარდგენილია დასაცავად და რომელიც სათანადოდ არ არის მითითებული.

სტუდენტი 06.06.2025.

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS) გავლენას ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე საქართველოში მოქმედი აუდიტორული კომპანიების პრაქტიკის მაგალითზე. IFRS წარმოადგენს უნივერსალურ ჩარჩოს, რომლის მიზანია ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის, სანდოობისა და შედარებადობის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში აღნიშნული სტანდარტები სავალდებულო გამოყენებაშია, პრაქტიკაში იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავებები სტანდარტების ფორმალურ და შინაარსობრივ დანერგვას შორის.

ნაშრომში გამოყენებულია კომბინირებული კვლევის მეთოდოლოგია, მათ შორის ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და რაოდენობრივი გამოკითხვა აუდიტორთა მონაწილეობით. კვლევამ ცხადყო, რომ აუდიტორთა შეფასებით, კომპანიების უმრავლესობა IFRS-ს მხოლოდ ფორმალურად იყენებს, ხოლო სტანდარტების შინაარსობრივი ინტეგრაცია კვლავ დაბალ დონეზეა. განსაკუთრებული სირთულეები აღინიშნება IFRS 9, 15 და 16-ის გამოყენებისას. ასევე, გამოიკვეთა, რომ ბუღალტრული სამსახურის კომპეტენცია და კომპანიის შიდა მექანიზმები ხშირად ვერ უზრუნველყოფს სტანდარტების სწორ აღქმასა და რეალურ დანერგვას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ IFRS-ის სწორად გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ანგარიშგების ერთგვაროვნებასა და გამჭვირვალობას, თუმცა სრული პოტენციალის რეალიზება დამოკიდებულია პროფესიული ცოდნის გაღრმავებაზე, აუდიტორული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერებაზე. ნაშრომი სრულდება რეკომენდაციებით, რომლებიც მიმართულია იმ სისტემური და პრაქტიკული ბარიერების დაძლევისკენ, რაც აფერხებს IFRS-ის ეფექტიანად გამოყენებას და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას.

ძირითადი სამიზნე სიტყვები: IFRS, ფინანსური ანგარიშგების ხარისხი, გამჭვირვალობა, ერთგვაროვნება, ფინანსური სტანდარტების დანერგვა, რეკომენდაციები, საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს აუდიტორული პრაქტიკა

Abstract

This master's thesis critically examines the influence of International Financial Reporting Standards (IFRS) on the quality of financial reporting, focusing on the practical experience of audit firms operating within the Georgian regulatory and economic environment. IFRS constitutes a globally recognized framework designed to enhance the transparency, reliability, and comparability of financial statements. Despite its mandatory adoption in Georgia, empirical observations reveal a considerable gap between the formal implementation of IFRS and its substantive, principle-based application.

The study adopts a mixed-methods research design, combining qualitative insights from a semi-structured expert interview with quantitative data collected through a structured survey distributed to practicing auditors. The findings suggest that the majority of companies in Georgia comply with IFRS predominantly at a formal level, with limited integration of the conceptual substance underlying the standards. Particular implementation challenges are associated with complex and judgment-based standards such as IFRS 9, IFRS 15, and IFRS 16. Furthermore, the research highlights deficiencies in accounting personnel's technical expertise and internal institutional mechanisms, which hinder the effective application of IFRS principles.

The empirical evidence confirms that the appropriate and substantive application of IFRS has the potential to significantly improve the qualitative attributes of financial reporting—specifically, its consistency, transparency, and auditability. However, this potential remains largely unrealized in the absence of sustained capacity-building initiatives, robust methodological guidance, and a stronger commitment to implementing audit recommendations. The thesis concludes by outlining targeted policy and practice-oriented recommendations intended to address the systemic and organizational obstacles that currently undermine the quality of IFRS-based financial reporting in Georgia.